სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 143

2015 წლის 06 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის“ გამოცხადების შესახებ

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისატვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ შეთანხმებისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და ,,კ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა;
2. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის“ პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. ამ ბრძანების დანართ N2-ად განისაზღვროს შეთანხმება სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის იულიხ-საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ.
4. დამტკიცდეს განაცხადის ფორმა ამ ბრძანების N3 დანართის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს ბიოგრაფიული მონაცემების (CV)-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის“ ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისათვის ერთობლივ კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამა“-ში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;

8. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

9. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №143 ბრძანებით
დანართი 1

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისთვის ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის“ პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება აწესრიგებს პროგრამაში მონაწილეობის გამოცხადებას, მოთხოვნილი დოკუმენტების მიღების, მიზნობრივი გრანტის გაცემისა და პროექტების მონიტორინგის წესს.

2. სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში – ფონდი) და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) ერთობლივი „დოქტორანტებისთვის იულიხ - საქართველოს ერთობლივი პროგრამის“ (შემდგომში – პროგრამა) მიზანია:

ა) მიეცეთ ქართველ დოქტორანტებს შესაძლებლობა ესტუმრონ მსოფლიოში წამყვან კვლევით ცენტრს გამოცდილების მისაღებად და წარმართონ უახლესი, მაღალი დონის კვლევები როგორც ფუნდამენტური ისე გამოყენებითი მიმართულებით.

ბ) ხელი შეუწყოს ცენტრს რათა განახორციელონ ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც წაახალისებს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსორციუმის (შემდგომში საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმი), ან ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით ამავე კონსორციუმში შესული საქართველოს სხვა უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი დოქტორანტების კვლევით სტაჟირებას ცენტრში, მოიზიდავს საუკეთესო სტუდენტებს სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კვლევების განსახორციელებლად, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

3. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულმა დოქტორანტებმა/ახალგაზრდა მეცნიერებმა კვლევითი სტაჟირებიდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ ცენტრში მიღებული ცოდნა და გამოცდილება უნდა გამოიყენონ და გაავრცელონ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში.

4. პროგრამა ქართველ დოქტორანტებს აძლევს შესაძლებლობას კვლევითი სტაჟირების ფარგლებში ცენტრში განახორციელონ სადისერტაციო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრებისა თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ სფეროებში:

ა) მათემატიკური მეცნიერებები;

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

დ) საინჟინრო მეცნიერებები;

ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

მუხლი 2. პროგრამის ადმინისტრირება

1. პროგრამის განხორციელებას ადმინისტრირებას უწევს ფონდი და ცენტრი.

2. ფონდი და ცენტრი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფენ:

ა) პროგრამაში მონაწილეობის გამოცხადებას, განაცხადების მიღების ვადების დადგენას;

ბ) ცენტრსა და ფონდს შორის 2015 წლის 16 ივნისს ხელმოწერილი შეთანხმებით **(ამ ბრძანების დანართი 2)** განსაზღვრული რაოდენობის განაცხადების მიღებასა და ერთობლივ დაფინანსებას.

3. ფონდი უზრუნველყოფს:

ა) პროგრამაში მონაწილეობის საჯაროდ გამოცხადებას;

ბ) ქართველ დოქტორანტთა განაცხადების მიღებას საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის ერთ-ერთი წევრის წარდგინებით.

გ) წარმოდგენილი განაცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის პაკეტის შესაბამისობის დადგენას ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით მოთხოვნილი საბუთების ჩამონათვალთან. ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი სთხოვს განმცხადებელს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

დ) შემოსული განაცხადების ერთიანი სიისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრული პაკეტის ცენტრში გაგზავნას;

ე) ცენტრის მხრიდან მოწოდებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დოქტორანტებთან და მათ დაფინანსებას;

3) პროექტების მონიტორინგს.

მუხლი 3. სუბიექტები

1. პროგრამაში მონაწილეობა და განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ ფონდსა და ცენტრს შორის გაფორმებული 2015 წლის 16 ივნისის შეთანხმების პირველი პუნქტით განსაზღვრული საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის ერთ-ერთი წევრის მხრიდან, იულიხის ცენტრთან ურთიერთშეთანხმებით წარდგენილ დოქტორანტებს. საგრანტო დაფინანსების მაძიებელი დოქტორანტი უნდა იყოს 30 წლამდე ასაკის (პროგრამის გამოცხადების დღისთვის), რომელსაც აქვს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი, რომელიც ჩაატარებს ცენტრში სადოქტორო პროგრამისთვის საჭირო კვლევას (სადოქტორო ნაშრომის მომზადება) ამ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული კვლევითი მიმართულებებით.

მუხლი 4. განაცხადების ფორმატი და საგრანტო დაფინანსება

1. პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმიდან (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგენილი არაუმეტეს სამი დოქტორანტის კვლევითი სტაჟირების დაფინანსებას.

2. დოქტორანტისათვის გრანტით დაფინანსებული კვლევითი სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 წლამდე, მომდევნო არაუმეტეს 6-თვიანი გაგრძელების შესაძლებლობით. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდსა და ცენტრს შორის და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი უნივერსიტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის ოფიციალურ მოთხოვნას. ცენტრში კვლევითი სტაჟირება არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე,ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

3. განაცხადის წარმდგენს ცენტრში უნდა ჰყავდეს კვლევითი სტაჟირების აკადემიური ხელმძღვანელი.

4. ფონდისა და ცენტრის ერთობლივი დაფინანსება გულისხმობს:

ა) მიზნობრივ საგრანტო დაფინანსებას, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ საცხოვრებელ ხარჯებს, ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევას და მისი ოდენობა შეადგენს არაუმეტეს 1400 ევროს თვეში;

ბ) სამოგზაურო გრანტებს:

ბ.ა) ევროკავშირის ფარგლებში წელიწადში ერთ მოგზაურობას სადოქტორო თემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე/აქტივობაზე დასასწრებად;

ბ.ბ) წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის (ეკონომკლასის ბილეთით);

5. ყოველთვიური მიზნობრივი საგრანტო დაფინანსების 50% ფარავს ცენტრი და 50%-ს - ფონდი;
6. სამოგზაურო გრანტებს, რომელიც გულისმხობს ევროკავშირის ფარგლებში მგზავრობას, გასცემს ცენტრი;
7. საქართველო-გერმანიას შორის მგზავრობას აფინანსებს ფონდი.
8. ფონდი საგრანტო დაფინანსების გადარიცხვას უზრუნველყოფს ტრანშების სახით არაუმეტეს ორი ტრანშისა საანგარიშო წელიწადში. პირველი ტრანშის გადარიცხვის შემდგომ ყოველი შემდეგი ტრანშის გადასარიცხად დოქტორანტმა ფონდში უნდა წარმოადგინოს წინა ტრანშის შესაბამისი სრული პროგრამული, ფინანსური ანგარიში და იულიხის ცენტრის მიმწვევი ინსტიტუტიდან აკადემიური ხელმძღვანელის მიერ გაცემული გრანტის მიმღების შეფასება.

მუხლი 5. პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენა

1. საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრებსა და ცენტრის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წარდგენილმა პროგრამაში მონაწილე კანდიდატმა უნდა გამოგზავნოს შევსებული განაცხადი ქართულ და ინგლისურ ენებზე ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე juelichphd@rustaveli.org.ge **2015 წლის 26 ოქტომბრის 17:00 სთ-მდე** და ფონდის კანცელარიაში ნაბეჭდი სახით - **2015 წლის 27 ოქტომბრის 17:00 სთ-მდე.**

2. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) შევსებულ განაცხადის ფორმის თავფურცელსა და კვლევითი პროექტის მოკლე რეზიუმეს ქართულად და ინგლისურად **(ამ ბრძანების დანართი 3)**;

ბ) ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში გრანტის მაძიებლის აკადემიური ხელმძღვანელის (დაწესებულების/იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის მხრიდან გაცემულ ოფიციალურ **მოწვევის წერილს**[1] (დასკანირებული ინგლისური ვერსია და ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ). წერილის ორიგინალი წარმოდგენილი უნდა იქნას დაფინანსებულ დოქტორანტთან ხელშეკრულების გაფორმებისას;

გ) **სარეკომენდაციო წერილს** საქართველოდან გამგზავნ უნივერსიტეტში ხელმძღვანელისგან (ინგლისური და ქართული ვერსიები, ხელმოწერილი ხელმძღვანელის მიერ);

---

[1] ცენტრის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერის მიერ ხელმოწერილი მოწვევა (აკადემიურ ხელმძღვანელობაზე თანხმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს იულიხის ოფიციალურ სატიტულო ფურცელზე (მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით). მოწვევა ნათლად უნდა განსაზღვრავდეს დაგეგმილი კვლევითი სტაჟირების ვადებს. მოწვევის წარდგენა დასაშვებია ელექტრონული ფოსტით და ფაქსით.

დ) განმცხადებლის ყველაზე მაღალი სამეცნიერო ხარისხის (მაგ. მაგისტრის) დამადასტურებელ დოკუმენტის ასლს (ქართულად და თარგმანი ინგლისურად, ან გერმანულად)[2];

ე) გერმანული და/ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ინგლისურად, ან გერმანულად და ქართული თარგმანი)[3]; საერთაშორისო სერთიფიკათის შემთხვევაში საჭიროა თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართული თარგმანის წარმოდგენა;

ვ) გრანტის მაძიებლის CV ტაბულარულ ფორმაში ინგლისურად და ქართულად **(ამ ბრძანების დანართი 4-ით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად)**;

ზ) ნაშრომების სიას ინგლისურ ენაზე, სათაურების, თანაავტორების, გამოქვეყნების ადგილის, თარიღისა და სხვა საჭირო დეტალების მითითებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) კვლევის გეგმას (1 – 2 გვერდი), რომელიც შეთანხმებულია ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტთან და რომელიც დაბეჭდილია ცენტრის ოფიციალურ ლოგოიან ფურცელზე და ხელმოწერილია აკადემიური ხელმძღვანელის მიერ იულიხის ცენტრიდან (დასკანირებული ინგლისური ვერსია და ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ). წერილის ორიგინალი წარმოდგენილი უნდა იქნეს დაფინანსებულ დოქტორანტთან ხელშეკრულების გაფორმებისას;

ი) ბიუჯეტის ფორმას ქართულად და ინგლისურად (**ამ ბრძანების დანართი 5**); ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს ფონდის მხრიდან მიზნობრივ საგრანტო დაფინანსების (ყოველთვიური გრანტის) ბიუჯეტის 50%-ს, და წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის;

კ) გრანტის მაძიებლის დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა, გაცემული საქართველოს მხრიდან წარმდგენი უნივერსიტეტის მიერ (ქართულად და ინგლისური თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ);

ლ) გრანტის მაძიებლის პირადობის მოწმობის დასკანირებული ასლი.

ფონდის კანცელარიაში ყველა დოკუმენტი წარდგენილი იქნება გრანტის მაძიებლის მიერ ხელმოწერილ პროგრამაში მონაწილეობის შესახებ განცხადებასთან ერთად (ამ ბრძანების დანართი 6).

3. ფონდის მიერ ცენტრში იგზავნება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადი.

4. ფონდი უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე მოხსნას განაცხადები, რომლებიც არ შეესაბამება პროგრამის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, არასრულყოფილია ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

5. ფონდი არ ანაზღაურებს პროგრამის განაცხადების მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

---

[2] საკვალიფიკაციო სერტიფიკატების, დიპლომისა და მაგისტრის სერტიფიკატებისთვის საჭიროა გერმანული ან ინგლისური თარგმანის წარდგენა, რომელიც დამოწმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

[3] ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება გაცემული იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

მუხლი 6. პროგრამის განხორციელების ეტაპები

პროგრამის განხორციელების ძირითადი ეტაპებია:

ა) პროგრამაში მონაწილეობის გამოცხადება;

ბ) ცენტრსა და ფონდს შორის ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრული რაოდენობის დოქტორანტების განაცხადების ფონდში წარმოდგენა საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის ერთ-ერთი წევრის მხარდაჭერით/წარდგინებით;

გ) ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით შემოსული დოკუმენტაციის პაკეტის შესაბამისობის დადგენა ამ დებულების მე-5 მუხლის, მე-2 პუნქტში მოთხოვნილი საბუთების ჩამონათვალთან;

დ) ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი სთხოვს განმცხადებელს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

ე) შემოსული განაცხადების ერთიანი სიის შედგენა, რომელშიც შედის წინამდებარე დებულების მე-5 მუხლის, პირველ პუნქტში მითითებული საქართველოს უნივერსიტეტების კონსორციუმის წევრ(ებ)ის მიერ წარდგენილი კანდიდატურები (მაქსიმუმ 3 დოქტორანტი) და დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ;

ვ) დამტკიცებული სიისა და განაცხადების/დოკუმენტაციის სრული პაკეტის (ინგლისურ ენაზე) ელ. ფოსტით გაგზავნა ცენტრში განსახილველად და დასამტკიცებლად;

ზ) ცენტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება განაცხადების დამტკიცებაზე;

თ) ცენტრის მხრიდან მოწოდებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე ფონდის მიერ საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება დოქტორანტებთან და დაფინანსება, რაც მოიცავს ფონდის მხრივ მიზნობრივ საგრანტო დაფინანსების (ყოველთვიური გრანტის) ბიუჯეტის 50%-ს, და წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის.

მუხლი 7. საგრანტო ხელშეკრულება

ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას იულიხის ცენტრის მიერ შერჩეულ და დამტკიცებულ მონაწილეებთან.

მუხლი 8. კვლევის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს პროექტის შესრულების მონიტორინგს მის მიერ დადგენილი პერიოდულობით, რომელიც განისაზღვრება გრანტის მიმღებთან ფონდის მიერ გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებაში; პროექტის მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ ნაწილს.

გრანტის მიმღები ვალდებულია საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 21 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს პროგრამის განხორციელების ანგარიში ფონდის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად.

აღნიშნულ ანგარიშთან ერთად, გრანტის მიმღებმა ამავე პერიოდში უნდა წარმოადგინოს ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში მისი აკადემიური ხელმძღვანელის შეფასება დოქტორანტის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ (ინგლისურ ენაზე და ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ).

2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

3. ფინანსური მონიტორინგის დროს ფონდი:

ა) ახორციელებს საგრანტო ხელშეკრულების ფინანსურ კონტროლს ფონდის მიერ დამტკიცებული ანგარიშის ფორმების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, რაზეც ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

ბ) ეყრდნობა დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ საგრანტო სახსრების ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

გ) დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ადგენს განხილვის აქტს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში ავანსის სახით გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობა საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

4. ფინანსური მონიტორინგისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდებში.

4. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს დოქტორანტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ეყრდნობა დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. პროგრამული მონიტორინგის განსახორციელებლად დოქტორანტი ფონდს წარმოუდგენს მიმღები კვლევითი ინსტიტუტიდან კვლევითი სტაჟირების აკადემიური ხელმძღვანელის ოფიციალურ წერილს კვლევითი სტაჟირების პერიოდში ჩატარებული კვლევის შესახებ.

5. გრანტის გამცემს აქვს უფლება შეაფასოს დასრულებული საგრანტო პროექტის სამეცნიერო ღირებულება და საგრანტო პროექტის ფარგლებში მიღებული შედეგი.

დანართი №2

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION

JÜLICH FORSCHUNGSZENTRUM

შეთანხმება

ს.ს.ი.პ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა და

იულიხის სამეცნიერო ცენტრს შორის

დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის

იულიხ - საქართველოს

ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ

ს.ს.ი.პ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდსა (შემგდომში „ფონდი“) და იულიხის სამეცნიერო ცენტრს (შემგდომში „ცენტრი“) შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) გამოცხადების თაობაზე.

1 - ხელშეკრულების საგანი

მხარეები თანხმდებიან განახორციელონ ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტიდან (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგენილი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებას ცენტრში;

მხარეებს შორის შეთანხმების საფუძვლებია:

- მემორანდუმი სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გაფორმებულია იულიხის სამეცნიერო ცენტრსა (JÜLICH, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს((SRNSF, საქართველო) შორის (ივნისი, 2015)-დანართი 1;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და JÜLICH სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების წერილი (2014) - დანართი 2;
- მემორანდუმი JÜLICH, თსუ და სტუ -ს ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ (2010) - დანართი 3;
- მემორანდუმის ცვლილება, ხელმოწერილი JÜLICH, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორების მიერ (2014) - დანართი 4.

2 - პროგრამის მიზნები და ამოცანები:

2.1 - პროგრამის მიზნებია:

- მიეცეთ ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა ესტუმრონ მსოფლიოში წამყვან კვლევით ცენტრს გამოცდილების მისაღებად და წარმართონ უახლესი, მაღალი დონის კვლევები როგორც ფუნდამენტური ისე გამოყენებითი მიმართულებით.

- ხელი შეუწყოს ცენტრს რათა საქართველოს უნივერსიტეტებიდან მოიზიდოს საუკეთესო სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კვლევების განსახორციელებლად, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

- სტაჟირებიდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ, ცენტრში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ქართველმა სტუდენტებმა გამოიყენონ და გაავრცელონ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტუტებში.

2.2 - პროგრამის ამოცანები:

ფონდისა და ცენტრის დაფინანსება ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობას მისცემს ცენტრში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ მათ სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა იულიხისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ შეთანხმებულ კვლევით სფეროებში:

ა) მათემატიკური მეცნიერებები;
ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;
გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
დ) საინჟინრო მეცნიერებები;
ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

2.3 - პროგრამის სამიზნე ჯგუფები:

2.3.1 ბაკალავრის ხარისხის მქონე (ან მათთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები) მაგისტრანტები წელიწადში არაუმეტეს სამისა, რომლებიც ჩაატარებენ ცენტრში სამაგისტრო დიპლომისთვის საჭირო კვლევას (სამაგისტრო თეზისის მომზადება) შეთანხმებული კვლევითი მიმართულებებით.

2.3.2 30 წლამდე დოქტორანტები, წელიწადში არაუმეტეს სამისა, რომელთაც აქვთ მაგისტრის ხარისხი (ან მაგისტრის ხარისხთან გათანაბრებული ხარისხი), შეთანხმებული კვლევითი მიმართულებით, რათა განახორციელონ ცენტრში სადოქტორო პროგრამისთვის საჭირო კვლევა (სადოქტორო თეზისის მომზადება).

3 - შეთანხმების ხანგრძლივობა და ვადები:

3.1 შეთანხმება ძალაში შედის მისი ორმხრივი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2020 წლის 16 ივნისამდე.

3.2 მაგისტრანტისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს, მისი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმს.

3.3 დოქტორანტებისთვის გრანტით დაფინანსებული სტაჟირების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 წლამდე, მომდევნო 6 თვიანი გაგრძელების შესაძლებლობით. ვადის გაგრძელება შეთანხმებული უნდა იყოს ფონდსა და ცენტრს შორის და უნდა ეფუძნებოდეს შესაბამისი უნივერსიტეტის/კვლევითი ინსტიტუტის ოფიციალურ მოთხოვნას. ცენტრში კლევითი სტაჟირების დრო არ უნდა იყოს წელიწადში 8 თვეზე ან/და სემესტრში 4 თვეზე ნაკლები.

4 - დაფინანსება:

ფონდისა და ცენტრის ერთობლივი დაფინანსება მოიცავს:

4.1 მიზნობრივ საგრანტო დაფინანსებას ამ ხელშეკრულების 2.3.1 და 2.3.2 პუნქტებში განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის; დაფინანსება ჯამში შეადგენს ყოველთვიურ თანხას 900 ევროს მაგისტრანტებისთვის და 1400 ევროს დოქტორანტებისთვის და ფარავს ყოველდღიურ საცხოვრებელ ხარჯებს, ჯანმრთელობის, უბედური შემთხვევებისა და პერსონალური პასუხისმგებლობის დაზღვევას;

4.2 სამოგზაურო გრანტებს ამ შეთანხმების 2.3.1 და 2.3.2 ქვე-პუნქტებით განსაზღვრული ფიზიკური პირებისათვის და ითვალისწინებს:

ა) ევროკავშირის ფარგლებში წელიწადში ერთ მოგზაურობას სამაგისტრო/სადოქტორო თემასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამეცნიერო ღონისძიებაზე/აქტივობაზე დასასწრებად;

ბ) წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის (ეკონომკლასის ბილეთით);

4.3 ყოველთვიური ანაზრაურების 50% ფარავს ცენტრი და 50%-ს - ფონდი;

4.4 სამოგზაურო გრანტებს, რომელიც გულისმხობს ევროკავშირის ფარგლებში მგზავრობას, გასცემს ცენტრი;

4.5 საქართველო-გერმანიას შორის მგზავრობას აფინანსებს ფონდი.

5 ერთობლივ პროგრამაში მონაწილეობისთვის განაცხადის წარდგენის პროცედურა:

5.1 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტის (ცენტრთან ურთიერთ შეთანხმებით) წარდგინებით პროგრამაში მონაწილეობის კანდიდატმა, ფონდში უნდა წარმოადგინოს შევსებული განაცხადი ელექტრონულად და ნაბეჭდი სახით, ინგლისურ და ქართულ ენებზე.

5.2 განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) შევსებულ განაცხადის ფორმას - თავფურცელს (ქართულად და ინგლისურად);

ბ) ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში გრანტის მაძიებლის ხელმძღვანელის (დაწესებულების/იურიდიული პირის) უფლებამოსილი პირის მხრიდან გაცემული ოფიციალურ მოწვევის წერილს[1] (ინგლისური ვერსია);

გ) სარეკომენდაციო წერილს საქართველოდან გამგზავნ უნივერსიტეტში ხელმძღვანელისგან (ინგლისურად);

დ) განმცხადებლის ყველაზე მაღალი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს (ქართულად, თარგმნილს ინგლისურად, ან გერმანულად)[2];

ე) გერმანული და/ან ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ან შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს (ინგლისურად, ან გერმანულად)[3];

ვ) რეზიუმეს ტაბულარულ ფორმაში (CV in Tabular form ინგლისურად);

ზ) ნაშრომების სიას, სათაურების, თანაავტორების, გამოქვეყნების ადგილის, თარიღისა და სხვა საჭირო დეტალების მითითებით. (ასეთის არსებობის შემთხვევაში ინგლისურად);

თ) კვლევის გეგმას (1 – 2 გვერდი ინგლისურად), რომელიც შეთანხმებულია ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტთან და რომელიც დაბეჭდილია ცენტრის ოფიციალურ ლოგოიან ფურცელზე და ხელმოწერილია აკადემიური ხელმძღვანელის მიერ იულიხის ცენტრიდან.

5.3 ფონდის მიერ მიიღება მხოლოდ სრულყოფილი განაცხადი. არასრულყოფილი განაცხადი არ განიხილება.

---

[1] ცენტრის ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერის მიერ ხელმოწერილი მოწვევა (მეცნიერ-ხელმძღვანელობაზე თანხმობა) წარმოდგენილი უნდა იყოს იულიხის ოფიციალურ შტამპიან ქაღალდზე (მისამართის, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით). მოწვევა ნათლად უნდა განსაზღვავდეს დაგეგმილი კვლევითი სტაჟირების ვადებს. მოწვევის წარდგენა დასაშვებია ელექტრონული ფოსტით და ფაქსით.

[2] საკვალიფიკაციო სერტიფიკატების, დიპლომისა და მაგისტრის სერტიფიკატებისთვის საჭიროა გერმანული ან ინგლისური თარგმანის წარდგენა, რომელიც დამოწმებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

[3] ინგლისური ან გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელი საბუთი შეიძლება გაცემული იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

6 გრანტის გაცემის პროცედურები და ანგარიშგება:

6.1 ფონდში განაცხადების წარმოდგენის შემდეგ, ფონდის ადმინისტრაცია ამოწმებს ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით დოკუმენტაციის პაკეტის შესაბამისობას ამ შეთანხმების ქვე-პუნქტ 5.2-ში მოთხოვნილი საბუთების ჩამონათვალთან.

6.2 ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფონდი სთხოვს განმცხადებელს 5 დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი.

6.3 ფონდი ადგენს შემოსული განაცხადების ერთიან სიას, რომელშიც შედის წინამდებარე შეთანხმების პუნქტ 5.1-ში მითითებული საქართველოს უნივერსიტეტების მიერ წარდგენილი კანდიდატურები (მაგისტრანტებისთვის და დოქტორანტებისთვის; წელიწადში მაქსიმუმ 3 მაგისტრანტი და 3 დოქტორანტი) და, დოკუმენტაციის სრულ პაკეტთან ერთად, ელ. ფოსტით აგზავნის განაცხადებს ცენტრში განსახილველად და დასამტკიცებლად.

6.4 საბოლოო გადაწყვეტილებას განაცხადების დამტკიცებაზე იღებს იულიხის ცენტრი.

6.5 ცენტრის მხრიდან მოწოდებული დამტკიცებული დოკუმენტების საფუძველზე ფონდი აფორმებს საგრანტო ხელშეკრულებებს შესაბამის პირებთან (მაგისტრანტებთან და დოქოტრანტებთან) და აფინანსებს მიზნობრივ საგრანტო დაფინანსების (ყოველთვიური გრანტის) ბიუჯეტის 50%, და წელიწადში მაქსიმუმ ორ ორმხრივ მგზავრობას საქართველოსა და გერმანიას შორის.

6.6 გრანტის მიმღები ახალგაზრდა მეცნიერი (მაგისტრანტი, დოქტორანტი) ანგარიშვალდებულია პროგრამის დასრულების შემდეგ, საქართველოში დაბრუნებიდან 21 დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს მოკლე მოხსენებითი ანგარიში (ქართულ და ინგლისურ ენაზე) გაწეული საქმიანობის შესახებ და ფინანსური ანგარიში (პირველადი დოკუმენტები/ასლები) ფონდის მიერ მისი სამგზავრო ხარჯების დაფინანსების შემთხვევაში.

6.7 მოხსენებით ანგარიშ(ებ)თან ერთად, გრანტის მიმღებმა ამავე პერიოდში უნდა წარმოადგინოს ცენტრის მიმწვევ ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელის შეფასება მაგისტრანტის/დოქტორანტის მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ (ინგლისურ ენაზე).

7 - საკონტაქტო პირები:

ფონდიში:

ხატია ანანიაშვილი
ქ. თბილისი, 0193
მ. ალექსიძის ქ. 1
ananiashvili@rustaveli.org.ge

ცენტრში:

საბინე დუს,
საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი
დირექტორთა საბჭოს და საერთაშორისო
ურთიერთობების სამსახური
Sabine Dues, Manager International Affairs
Office of the Board of Directors and International
Affairs; Forschungszentrum Jülich GmbH
D-52425 Jülich, Germany
s.dues@fz-juelich.de

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი:

For Shota Rustaveli National Science Foundation

პროფესორი, დოქტორი მარინე ჩიტაშვილი

გენერალური დირექტორი

16.06.2015

იულიხის სამეცნიერო ცენტრი (JÜLICH)

For Forschungszentrum Jülich GmbH

პროფესორი, დოქტორი სებასტიან მ. შმიდტი

დირექტორთა საბჭოს წევრი

16.06.2015

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №-43 ბრძანებით
დანართი 3

განაცხადის ფორმა

თავფურცელი

1	განმცხადებლის სახელი, გვარი	
2	აკადემიური სტატუსი	დოქტორანტი
3	განმცხადებლის სადოქტორო თემის სახელწოდება	
4	კვლევითი სტაჟირების პერიოდში განმცხადებლის ხელმძღვანელი (იულიხის მხრიდან) და მისი მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ელ-ფოსტა	
5	იმ ინსტიტუტის სრული დასახელება, სადაც დაგეგმილია სტაჟირება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) მისამართი, ვებ-გვერდი	
6	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება (საქართველოში) ფაკულტეტი, დეპარტამენტი/მიმართულება	
7	განმცხადებლის სამეცნიერო ხელმძღვანელი საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში, მისი მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა	
8	სამეცნიერო კვლევის მიმართულება/ქვემიმართულება	
9	სტაჟირების გავლისათვის აუცილებელი უცხო ენა	
10	სტაჟირების ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა)	
	განმცხადებლის პირადი მონაცემები	
11	დაბადების წელი, თვე, რიცხვი, ადგილი	
12	სქესი, ოჯახური მდგომარეობა; შვილები	

13	პირადი ნომერი და პასპორტის ნომერი	
14	რეგისტრაციის ადგილი (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით)	
15	საცხოვრებელი ადგილის მისამართი (ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)	
16	საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონის ნომრები: ბინის, სამსახურის, ფაქსი, მობილური	
17	ელექტრონული ფოსტა	

კვლევითი პროექტის მოკლე რეზიუმე (მაქს. 200 სიტყვა)

Application form

Cover Sheet

1	Name, Surname	
2	Academic status	PhD student
3	PhD thesis title	
4	Scientific supervisor at higher educational institution in Juelich, his/her address, phone, fax, E-mail	
5	Full name, address and website of the host organization (supposed institute in JUELICH)	
6	Name of higher educational institution (in Georgia) Faculty, Department	
7	Scientific supervisor at higher educational institution in Georgia, his/her address, phone, fax, E-mail	
8	Scientific research direction/subdirection	
9	Foreign language being used during the internship	
10	Duration of internship (in months)	
Personal Data of the Applicant		
11	Date (day, month, year) and place of birth	
12	Gender / marital status / children	
13	Identity number and passport number	
14	Place of registration (According to ID document)	
15	Home address (Actual)	
16	Contact information: Phone Numbers: home, work, fax, mobile	
17	E-mail	

Summary on Research Proposal (max. 200 words)

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №43 ბრძანებით

დანართი 4

ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

ჩასვით ფოტოსურათი

სახელი, გვარი

დაბადების წელი:

დაბადების ადგილი:

მისამართი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

ტელეფონი:

1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი	სპეციალობა
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

№	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				
3				
4				
5				

4. პუბლიკაციების ჩამონათვალი

№	პუბლიკაციის სათაური	თანაავტორ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	ჟურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი):გვერდები ან წიგნის/მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალაქი, თარიღი

1			
2			
3			
4			
5			

5. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში მონაწილეობა

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ადგილი	მოხსენების სათაური
1				
2				
3				
4				
5				

6. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი

№	თარიღი	გამოგონების სახელწოდება	მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა
1			
2			
3			
4			
5			

7. ენები

მშობლიური ენა .....

№	უცხო ენები	საშუალოდ (A1,A2)	კარგად (B1,B2)	თავისუფლად (C1,C2)
1				
2				
3				

CURRICULUM VITAE

Insert Photo

Name, Surname:

Date of Birth:

Place of birth:

Address:

E-mail:

Phone:

1. Education

№	Years	Name of University/Institute, Country	Academic Degree	Major / Specialty
1				
2				
3				
4				
5				

2. Work Experience

№	Years	Position	Department / Unit	Organization
1				
2				
3				
4				
5				

3. Participation in Research Grant Projects

№	Years	Position / Responsibility	Project Title	Donor Organization
1				
2				
3				
4				
5				

4. List of Publications

№	Publication Title	Coauthor(s) (If available)	Journal Title, Series Volume Issue (Year Published): Page(s) ", Book / Monograph Edition #, Series Publisher, Date Published
1			
2			
3			
4			
5			

5. Participation in International Scientific Conferences, Forums

№	Year	Event title	Venue	Presentation title
1				
2				
3				
4				
5				

6. List of Patented Inventions

№	Publication Date	Title of Invention	Patent-granting Organization, Country
1			
2			
3			
4			
5			

7. Languages

Mother Tongue .....

№	Foreign Languages	(A1,A2) Basic User	(B1,B2) Independent User	(C1,C2) Proficient User
1				
2				
3				

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №49 ბრძანებით
დანართი 5

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის "დოქტორანტებისთვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის" ბიუჯეტი (ევროში)

#	ბიუჯეტის პუნქტი	EUR ერთეულის ფასი	თვეები / პერიოდი/რაოდენობა	მთლიანი თანხა EUR	ფონდიდან მოთხოვნილი EUR	JÜLICH ცენტრიდან მოთხოვნილი
1	მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება (ყოველთვიური სტიპენდია)			€ -	€ -	€ -
2	საქართველო-გერმანიის ორმხრივი მგზავრობის (ავიაბილეთის) ხარჯი			€ -	€ -	-
3	ევროკავშირის ფარგლებში სამეცნიერო ღონისძიებაზე დასასწრებად მოგზაურობის ხარჯი			ამ ეტაპზე უცნობია		ამ ეტაპზე უცნობია
	ჯამი			€ -	€ -	€ -
	მთლიანად ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (EUR):				€ -	

შენიშვნა:

დოქტორანტებისთვის ყოველთვიური სტიპენდია - 1400 ევრო
ფონდი აფინანსებს ყოველთვიური მიზნობრივი საგრანტო დაფინანსების 50%-ს და წელიწადში 2-ჯერ ორმხრივ მგზარობას (ა
იულიხის ცენტრი აფინანსებს ყოველთვიური მიზნობრივი საგრანტო დაფინანსების 50%-ს და ევროკავშირის ფარგლებში კონ

ფონდის დაფინანსების წილის გადარიცხვის გრაფიკი (მიუთითეთ პერიოდების მიხედვით)

	ფონდიდან მოთხოვნილი ჯამური თანხა:				€ -			
#	ბიუჯეტის პუნქტი	I პერიოდი	II პერიოდი	III პერიოდი	IV პერიოდი	V პერიოდი	VI პერიოდი	ჯამი
1	მიზნობრივი საგრანტო დაფინანსება (ყოველთვიური სტიპენდია)							€ -
2	საერთაშორისო მგზავრობა (საქართველო-გერმანია, ორმხრივი მგზავრობა წელიწადში მაქსიმუმ ორჯერ) მიუთითეთ ბილეთების ჯამური ღირებულება							€ -
	ჯამი	€ -	€ -	€ -	€ -	€ -	€ -	€ -

_____
განმცხადებლის სახელი, გვარი

_____
განმცხადებლის ხელმოწერა

_____
თარიღი:

"Joint Research and Education Programme for PhD Students"
Forschungszentrum Jülich & Shota Rustaveli National Science Foundation

#	Project Budget	Unit Value EUR	Months/Period/Quantity	Total Funding EUR	Expenses covered by the FOUNDATION EUR	Expenses covered by JÜLICH EUR
1	Targeted grant funding (Monthly fellowship)			€ -	€ -	€ -
2	Return air travel between Georgia and Germany (economy class)			€ -	€ -	
3	Travel within EU for participation in a scientific event			will be defined lately		will be defined lately
	Total			€ -	€ -	€ -
	Total funding covered by the FOUNDATION (EUR):				€ -	

Remarks:

Grant installment, totaling 1400 € per month for PhD students
Return travels between Georgia and Germany and 50% of targeted grant funding are covered by the FOUNDATION.
Travel expenses within EU and 50% of the targeted grant funding are covered by JÜLICH centre

Installment Schedule of the funding provided by the FOUNDATION (indicate according to the periods)

	Total Budget Covered by The FOUNDATION	€ -						
#	Budget	I period	II period	III period	IV period	V period	VI period	Total
1	Targeted grant funding (Monthly fellowship)							€ -
2	International travel (Up to two return travels expenses between Georgia and Germany). Indicate total cost of the air tickets.							€ -
	Total	€ -	€ -	€ -	€ -	€ -	€ -	€ -

Name, surname of the applicant

Signature of the applicant

Date:

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №143 ბრძანებით
დანართი №6

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისთვის ერთობლივ კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამაში“ მონაწილეობის შესახებ

განცხადება

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას პროგრამაში მონაწილეობის შესახებ, ვადასტურებ, რომ გავეცანი სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 6 ოქტომბრის №143 ბრძანებას სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისთვის ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის“ გამოცხადებისა და წარსადგენი დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ და ხელისმოწერით ვაცხადებ პროგრამის პირობებზე თანხმობას. ასევე, ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ელექტრონულად გამოგზავნილი და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმები, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი პროგრამაში მონაწილეობიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი განაცხადი სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის „დოქტორანტებისთვის ერთობლივი კვლევით-საგანამანათლებლო პროგრამაში“ მონაწილეობისთვის.

1. **განმცხადებლის სახელი, გვარი:**
2. **განაცხადის (სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება) სათაური:**
3. **საქართველოდან გამგზავნი უნივერსიტეტი:**
4. **იულიხის კვლევითი ცენტრის მიმწვევი ინსტიტუტი:**
5. **ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება (ევრო):**
6. **სტაჟირების ვადები:**

ხელმოწერა:

თარიღი: